ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3430207

ნომერი: AR1521800

თარიღი : 10.07.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 09.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს ,მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის(ნაკვ. 10/22);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ანდრიაძე პ/ნ 01024010008
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29/31/33 ბ. 34

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად.

გადაწყვეტილება

თქვენი AR1521800 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირებას, გაცნობებთ:
ვინაიდან წარმოდგენილ, კორექტირებულ გრგ პროექტში ხდება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (26.02.2010წ. განკარგულება N01/417) არეალში შემავალი საკადასტრო ერთეულის საზღვრებისა და შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის საზღვრის ცვლილება. პირველ რიგში, მოთხოვნა უნდა დააყენოთ გრგ გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებულ გეგმარებით დავალებაში წარმოდგენილი ფუნქციები იცვლება ან/და ემატება, აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების შეტანისას, მოითხოვეთ ფუნქციის დამატება/ცვლილება.
გეგმარებით დავალებაში ცვლილების შესატანად, საჭიროა ელექტრონულ განცხადებას შეუცვალოთ ნომეკლატურა არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამისად:

• მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობები.
• განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

მოთხოვნის შინაარსში დააფიქსირეთ შეთანხმებულ გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა. ამასთან, გეგმარებითდავალებაშიცვლილებისშეტანისსტადიაზე, საჭიროა წარმოადგინოთ №3175113 გადაწყვეტილებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია:

• ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემა;
• ა(ა) იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ პოზიცია (ვინაიდან მიმდინარეობს ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მუშაობა), რამდენად მიზანშეწონილია შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში (26.02.2010წ. განკარგულება N01/417) და შესაბამისად, გაცემულ გეგმარებით დავალებაში (08.01.2010წ. N15) დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება.
დანართის სახით გიგზავნით გრგ გეგმარებითი დავალების ალბომის შემადგენლობას და ხარისხობრივი მაჩვენებლებს, რაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს განცხადებას „საბჭოზე“ განსახილველად გასატანად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.